

## ერასმუს მუნდუსის 2013–2014 წლების მობილობის შეფასება

### Erasmus Mundus 2013-2014 Mobility Evaluation

კვლევის ანგარიში მომზადდა ერასმუს მუნდუსის 2013–14 წლების მობილობის პროგრამებში გამარჯვებულ სტუდენტთა გამოკითხვაზე დაყრდნობით, რომელიც ჩაატარა არასამთავრობო სტუდენტურმა ორგანიზაციამ Erasmus Student Network Tbilisi ISU-მ, Erasmus + ეროვნული ოფისის მხარდაჭერით.

2014 წელი



## შინაარსი

შესავალი .....	3
კვლევის მეთოდოლოგია .....	4
<i>შერჩევის ფორმირება</i> .....	5
პრე-მობილობის პერიოდის შეფასება .....	7
მობილობის პერიოდის შეფასება .....	12
პოსტ მობილობის პერიოდი .....	21
რეკომენდაციები .....	23
დიაგრამა 1 რესპონდენტთა განაწილება სქესის მიხედვით.....	5
დიაგრამა 2 რესპონდენტთა განაწილება უნივერსიტეტების მიხედვით.....	6
დიაგრამა 3 რესპონდენტთა განაწილება პროგრამების მიხედვით .....	7
დიაგრამა 4 გთხოვთ, აღნიშნოთ ვისგან იღებდით პრე-მობილობის პერიოდში ინფორმაციას და შეაფასოთ მიღებული ინფორმაციის ხარისხი 5 ბალანი შკალით. (1 დაბალი ხარისხი, 5 მაღალი ხარისხი) .....	8
დიაგრამა 5 ქართული უნივერსიტეტების კოორდინატორების მიერ მოწოდებული ინფორმაციის შეფასება .....	8
დიაგრამა 6 პროგრამების კოორდინატორების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საშუალო შეფასება .....	9
დიაგრამა 7 ინფორმაციის მოწოდებასთან დაკავშირებით გამოვლენილი პრობლემები .....	9
დიაგრამა 8 არჩეული საგნების შესაბამისობა მშობლიური უნივერსიტეტის საგნებთან.....	10
დიაგრამა 9 ვიზიტის მეზობელ ქვეყანაში მგზავრობის ხარჯების ანაზღაურება .....	11
დიაგრამა 10 ვიზიტთან დაკავშირებული მგზავრობის ხარჯების ანაზღაურება პროგრამების მიხედვით .....	11
დიაგრამა 11 მასპინძელი უნივერსიტეტის მხრიდან საცხოვრებლით უზრუნველყოფა .....	12
დიაგრამა 12 საცხოვრებლის ტიპი.....	13
დიაგრამა 13 საცხოვრებლების შეფასება.....	13
დიაგრამა 14 სტიპენდიის საკმარისობა (1-სრულიად არასაკმარისი, 5-სრულიად საკმარისი) .....	14
დიაგრამა 15 დროულად იღებდნენ თუ არა სტიპენდიას.....	15
დიაგრამა 16 სტიპენდიის ჩარიცხვის დროულობის მიმართება პროგრამასთან.....	15
დიაგრამა 17 ვინ გეხმარებოდათ ადაპტაციაში .....	16
დიაგრამა 18 მასპინძელი უნივერსიტეტის კოორდინატორის სტუდენტების პრობლემებზე რეაგირება .....	16
დიაგრამა 19 მობილობიდან მიღებული სარგებელი .....	17
დიაგრამა 20 რესპონდენტთა პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც არ მიიჩნევენ აღნიშნულ სარგებლებს მნიშვნელოვნად და არ აფასებენ.....	18
დიაგრამა 21 სარგებელი - უცხო ენი ცოდნის დონის გაუმჯობესება .....	18
დიაგრამა 22 სარგებელი-მოგზაურობა და ახალი კულტურების შეცნობა .....	19
დიაგრამა 23 სარგებელი - გართობა და ადგილობრივი ენის დაუფლება.....	19
დიაგრამა 24 სარგებელი - პროფესიული ცოდნის დონის ამაღლება.....	20
დიაგრამა 25 სარგებლის საშუალო შეფასება .....	21

## შესავალი

საქართველოში ერასმუს მუნდუსის პროგრამები 2007 წლიდანაა წარმოდგენილი და მათმა რიცხვმა უკვე 18-ს მიაღწია. დღეს ერასმუსის პროგრამის განვითარების ახალ ეტაპზე გადავდივართ. მას შემდეგ რაც ერასმუსის პროგრამა დასახელდა ევროკომისიის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ პროექტად, გადაწყდა ერასმუს + -ის ფარგლებში პროგრამის მასშტაბების გაზრდა. ეს მეტყველებს იმაზე, რომ პროგრამამ შეძლო საკუთარი ფუნქციის წარმატებით შესრულება. თუმცა, ხარვეზები ჯერ კიდევ არსებობს, რაც სრულებით ნორმალურია და საჭიროებს უწყვეტ მუშაობას მათი აღმოფხვრისათვის და ახალი იდეების დანერგვისათვის. პროგრამის განვითარებისთვის და ეფექტიანობის ამაღლებისთვის აუცილებელია მისი მომხმარებლის აზრის კვლევა, რაც საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ პრობლემები და უკეთესად მოვარგოთ პროგრამა ბენეფიციარების საჭიროებებს. ერასმუსი ამ ამოცანას წლების განმავლობაში წარმატებით ახორციელებდა და ამ პროცესში ჩვენი ქსელი, Erasmus Student Network 1989 წლიდან აქტიურადაა ჩართული. ჩვენი ორგანიზაციის შექმნაც სწორედ ამ მიზანს უკავშირდება: წარმოგვედინა სტუდენტების აზრი ევროკომისიაში და ჩვენი წვლილი შეგვეტანა ევროპული განათლების სისტემის გაუმჯობესებაში. ჩვენ ყოველწლიურად ვატარებთ კონტინენტზე ერთ-ერთ უდიდეს კვლევას Erasmus Survey, რომელიც სწორედ ამ მიზანს ემსახურება. 2013 წელს ჩვენმა კვლევამ მოიცვა ოცი ათასზე მეტი ერასმუსის სტუდენტი და მთელი ეს პროცესი სრულიად მოხალისეების მიერ ჩატარდა. ვფიქრობთ, ჩვენი, როგორც ერასმუსის სტუდენტების წარმომადგენლების, რომელთაც უწყვეტი კავშირი აქვთ ყოველწლიურად საშუალოდ 180 ათას გაცვლით სტუდენტთან, მიერ მოწოდებული იდეები, რეკომენდაციები და სტუდენტთა გამოცდილების კვლევის შედეგები პროგრამის განვითარებისთვის აუცილებელია.

სწორედ ამ მიზანს ემსახურება Erasmus Survey 2013-2014, რომელიც ჩატარდა ESN Tbilisi ISU-ს მიერ საქართველოში ერასმუს + -ის ოფისის დაფინანსებითა და მხარდაჭერით. აღნიშნული კვლევა ESN-ის მიერ საქართველოში პირველად ჩატარდა და წარმოადგენს ბაზისს მომდევნო წლების ანალოგიური კვლევებისთვის, გამოყენებული იქნება როგორც საქართველოში პროგრამის პროგრესის შეფასებისთვის ბაზისური ინფორმაცია.

გვინდა მადლობა გადავუხადოთ ერასმუს + -ის ეროვნულ ოფისს მხარდაჭერისათვის. ასევე ქართული უნივერსიტეტების საგარეო ურთიერთობების დეპარტამენტებს, რომლებიც დაგვეხმარნენ კითხვარების კომუნიკაციის პროცესში.

## კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მიზნები:

- შევისწავლოთ ერასმუს მუნდუსი 2013-2014 წლის მობილობის მონაწილე ქართველი სტუდენტების გამოცდილება
- გამოვავლინოთ პროგრამების მიმდინარეობაში არსებული ხარვეზები და შევთავაზოთ შესაბამის გადაწყვეტილებების მიმღებ პირებს რეკომენდაციების
- შევქმნათ ბაზისი მომდევნო კვლევებისთვის, შედეგების შესადარისობის და პროგრესის შეფასების მიზნით

კვლევა მოიცავდა ორ ეტაპს: საძიებო და აღწერითი კვლევა.

კვლევის პირველ ეტაპზე მოხდა ბაზისური ინფორმაციის შეგროვება, დახარისხება, ანალიზი კვლევის პრობლემატიკის უკეთ განსაზღვრისა და რაოდენობრივი კვლევისთვის ჰიპოთეზების ჩამოყალიბების მიზნით. აღნიშნული დაგეგმარა ანკეტის სტრუქტურირებაში და საშუალება მოგვცა უფრო ზუსტად მოგვეხდინა ფოკუსირება გარკვეულ საკითხებზე. ინფორმაციის ძიების ამ ეტაპზე გამოყენებული იქნა ერასმუს მუნდუსის 2013-2014 წლის მობილობის ფარგლებში ჩვენი ორგანიზაციის მუშაობის განმავლობაში სტუდენტებთან ონლაინ კორესპონდენციის, ვორქშოფების, საინფორმაციო პრეზენტაციების შედეგად დაგროვილი ინფორმაცია. ამასთან, მოხდა პროგრამის მონაწილე სტუდენტთა Facebook-ის სოციალური ჯგუფებიდან ინფორმაციის ამოღება.

რადგანაც საძიებო არის თვისებრივი კვლევის მეთოდი და მისი შედეგების განზოგადება შეუძლებელია, მეორე ეტაპზე პირველ ეტაპზე მიღებული შედეგების გათვალისწინებით რაოდენობრივი ანალიზისთვის შევადგინეთ კითხვარი და მოხდა ამ კითხვარის ინტერნეტის საშუალებით მიწოდება. კითხვარი ეხებოდა პროგრამების მიმდინარეობის მთელი პროცესის განმავლობაში ჩართული სხვადასხვა სამსახურის შეფასებას, პროგრამების სხვადასხვა ასპექტის შესწავლას და ზოგადად, ბენეფიციართა აზრის კვლევას. კითხვარი გახლდათ ნახევრად სტრუქტურირებული, რომელიც წარმოდგენილი იყო დახურული, ნახევრად ღია და ღია კითხვებით.

გამოკითხვა იყო ანონიმური და დაცული იყო ეთიკის ნორმები. იმ შემთხვევაში თუ რესპონდენტს ექნებოდა დამატებითი ინფორმაციის ან იმ საკითხების გადმოცემის სურვილი, რომლებსაც კითხვარით ვერ ამოწურავდა, შევქმენით სპეციალური გრაფა, სადაც

მითითებული იყო ჩვენი ელექტრონული მისამართი. მისი საშუალებით, სურვილის შემთხვევაში, სტუდენტებს შეეძლოთ ჩვენთან დაკავშირება.

ამის შემდეგ ჩავატარეთ ფოკუს ჯგუფი ერასმუსის პროგრამების მონაწილე სტუდენტებთან. შეხვედრა ჩავიწერეთ სპეციალური ჩამწერით, დამუშავებულ ჩანაწერები კი გამოვიყენეთ კვლევის ანალიზისა და ანგარიშისათვის.


კვლევის ბოლოს, ფორმულირებულ იქნა ESN Tbilisi ISU-ის, როგორც ერასმუსის პარტნიორი ორგანიზაციის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები.

### შერჩევის ფორმირება

ჩვენი კვლევის მიზნობრივ ჯგუფს წარმოადგენდა ერასმუს მუნდუსის 2013–2014 წლების მობილობის პროგრამაში გამარჯვებული ქართველი სტუდენტები. მათი საერთო რაოდენობა შეადგენდა დაახლოებით 200 სტუდენტს. აქედან აღნიშნულ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 62-მა გამარჯვებულმა, რაც გამარჯვებული სტუდენტების 31% წარმოადგენს. აღნიშნული უზრუნველყოფს 10% ნდობის ინტერვალს სანდოობის 95%-იანი დონისათვის.


რესპოდენტთა სქესის მიხედვით განაწილება იყო შემდეგნაირი:

დიაგრამა 1 რესპოდენტთა განაწილება სქესის მიხედვით



ზოგადი განაწილება კი უნივერსიტეტების მიხედვით იყო შემდეგი სახის:

დიაგრამა 2 რესპოდენტთა განაწილება უნივერსიტეტების მიხედვით



რესპოდენტთა უმრავლესობა, 65%, იყო ბაკალავრის სტუდენტი. ასევე მონაწილეობდნენ მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტები, შემდეგი განაწილებით:


- მაგისტრატურის სტუდენტი გამოკითხულთა - 23,3 %;
- დოქტორანტურის სტუდენტი გამოკითხულთა - 11,7%.

რაც შეეხება მობილობის ხანგრძლივობას:

1 აკადემიური სემესტრი	33,3%
1 აკადემიური წელი	46,7%
2 აკადემიური წელი	14,5%
3 აკადემიური წელი	5%

გამოკითხულთა უმრავლესობა იყო IANUS–ის პროგრამის გამარჯვებული, სულ 17 სტუდენტი ანუ რესპოდენტთა 28,3%. დანარჩენ პროგრამებში გამარჯვებულ სტუდენტთა განაწილება კი შემდეგი სახისაა:

დიაგრამა 3 რესპოდენტთა განაწილება პროგრამების მიხედვით



## პრე-მობილობის პერიოდის შეფასება


კითხვარი იწყებოდა პრე-მობილობის პერიოდის შეფასებით.

A1. გთხოვთ აღნიშნოთ, ჩამოთვლილთაგან ვისგან იღებდით გაცვლით პროგრამებთან დაკავშირებულ საჭირო ინფორმაციას და შეაფასეთ ის 5-ბალიანი სისტემით. (სადაც 1 არის არასრული ინფორმაცია და 5- სრული ინფორმაცია).

რესპოდენტები, ადგილობრივი კოორდინატორისგან ინფორმაციის მიღების ხარისხს საშუალოდ აფასებდნენ 3,92 ბალით, მასპინძელი უნივერსიტეტის კოორდინატორისგან მიღებულ ინფორმაციას საშუალოდ - 4,14 ბალით, ESN-ის ადგილობრივი სექციის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას- 2,95 ბალით, ხოლო პროგრამის მთავარი კოორდინატორის მიერ- 3,5 ბალით. პროგრამების ოფიციალურ ვებ-საიტზე წარმოდგენილ ინფორმაცია შეფასდა საშუალო 3,74 ბალით.




დიაგრამა 4 გთხოვთ, აღნიშნოთ ვისგან იღებდით პრე-მობილობის პერიოდში ინფორმაციას და შეაფასოთ მიღებული ინფორმაციის ხარისხი 5 ბალანი შკალით. (1 დაბალი ხარისხი, 5 მაღალი ხარისხი)



შემდეგი დიაგრამა გვიჩვენებს თუ როგორ აფასებდნენ თითოეული ქართლი უნივერსიტეტის კოორდინატორისგან მიწოდებული ინფორმაციის ხარისხს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზუგდიდისა და ქუთაისის უნივერსიტეტებიდან აღნიშნულ კითხვას გასცა თითო-თითო რესპოდენტმა პასუხი.


დიაგრამა 5 ქართული უნივერსიტეტების კოორდინატორების მიერ მოწოდებული ინფორმაციის შეფასება






ქვემოთა დიაგრამაზე მოცემულია პროგრამის კოორდინატორებისთვის მინიჭებული საშუალო ბალი ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებით. როგორც ხედავთ, ყველაზე მაღალი ბალით შეფასებულია MID. თუმცა ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია, რომ ამ პროგრამიდან მხოლოდ ერთი რესპონდენტი იყო. ყველაზე მეტი რესპონდენტი, 12 სტუდენტი, იყო IANUS-ის პროგრამიდან. პროგრამა იღებს საკმაოდ დაბალ 2,4 საშუალო ბალს. ზოგადად, მიღებული ამ მონაცემებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ პროგრამების კოორდინატორთა მხრიდანაც გარკვეული პრობლემები იქმნება ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებით.

დიაგრამა 6 პროგრამების კოორდინატორების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საშუალო შეფასება



A2. რა სახის პრობლემა შეგექმნათ ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებით?

დიაგრამა 7 ინფორმაციის მოწოდებასთან დაკავშირებით გამოვლენილი პრობლემები




მნიშვნელოვანია, რომ რესპოდენტთა უმრავლესობა აღნიშნავდა, ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებით ძირითადად არ ექმნებოდათ არანაირი პრობლემა.

A4. სასწავლო გეგმის მიხედვით, თქვენ მიერ არჩეული საგნების რა რაოდენობა ემთხვეოდა მშობლიური უნივერსიტეტის საგნებს?

პრე-მობილობის პერიოდში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია სასწავლო გეგმის შედგენა, ამიტომ ამ საკითხს ჩვენც შევეხეთ და გამოვკითხეთ სტუდენტებს სასწავლო გეგმის მიხედვით არჩეული საგნების რა რაოდენობა ემთხვეოდა მშობლიური უნივერსიტეტის საგნებს. შედეგები ასეთი იყო:

დიაგრამა 8 არჩეული საგნების შესაბამისობა მშობლიური უნივერსიტეტის საგნებთან




უმეტეს შემთხვევაში რესპოდენტებს არჩეული საგნების რაოდენობა ემთხვეოდა მშობლიური უნივერსიტეტის საგნებს. ზოგიერთი საგანი, თითქმის არცერთი და არცერთი საგანი არ დაემთხვა 47 რესპოდენტიდან 22-ს, შესაბამისად მათ შეექმნებოდათ პრობლემები. ზოგიერთ მათგანს შესაძლოა, სემესტრის დამატება დაჭირვებოდა იმისათვის, რომ დაეგროვებინა საჭირო კრედიტების რაოდენობა. ეს ყველაფერი აშკარაა, რომ მოითხოვს პრობლემის გადახედვას და მასზე რეაგირებას. მიღებული შედეგიდან გამომდინარე ნათელია, რომ საჭიროა უნივერსიტეტების პროგრამების შესაბამისობის გაზრდა საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.

მნიშვნელოვანი საკითხია ასევე საელჩოსთან დაკავშირებული საჭირო პროცედურები. გამოვლინდა რომ მგზავრობის ხარჯების ანაზღაურებასთან დაკავშირებით არსებული პრობლემები.


A6.იმ შემთხვევაში თუ თქვენთვის საჭირო ქვეყნის საელჩო არ იყო საქართველოში, ავინაზღაურათ თუ არა პროგრამამ მგზავრობის ხარჯები?

დიაგრამა 9 ვიზისთვის მეზობელ ქვეყანაში მგზავრობის ხარჯების ანაზღაურება



გამოკითხულ რესპოდენტთა 29%-ს მოუწია სხვა ქვეყანაში წასვლა იმიტომ, რომ მასპინძელი ქვეყნის საელჩო არ იყო საქართველოში. 29% შეადგენს 18 რესპოდენტს და ამ რესპოდენტებიდან 10-ს მგზავრობის ხარჯების საერთოდ არ აუნაზღაურეს. როგორც ვხედავთ, საჭიროა ამ საკითხზე ყურადღების

დიაგრამა 10 ვიზასთან დაკავშირებული მგზავრობის ხარჯების ანაზღაურება პროგრამების მიხედვით




როგორც ვხედავთ, სხვადასხვა შემთხვევები ფიქსირდება ერთსა და იმავე პროგრამაში. მართალია ეს მხოლოდ გამოკითხვის შედეგია და რაიმეს მტკიცების საშუალებას არ იძლევა, თუმცა უმჯობესია გადაიხედოს არსებული პრაქტიკა და დადგინდეს თუ ჰქონდა სტუდენტთა მიმართ არათანაბარ მიდგომას ადგილი.

## მობილობის პერიოდის შეფასება


A7. მობილობის პერიოდში მასპინძელმა უნივერსიტეტმა უზრუნველგყოთ თუ არა საცხოვრებლით?

მობილობის პერიოდთან დაკავშირებით კითხვაზე, უზრუნველყო თუ არა მასპინძელმა უნივერსიტეტმა სტუდენტები საცხოვრებლით, პასუხები შემდეგნაირია:

*დიაგრამა 11 მასპინძელი უნივერსიტეტის მხრიდან საცხოვრებლით უზრუნველყოფა*




A8. გთხოვთ აღნიშნოთ, სად ცხოვრობდით მობილობის პერიოდში და შეაფასეთ 5-ბალიანი სისტემით იქ არსებული პირობები: (1–ძალიან ცუდი და 5– ძალიან კარგი)  
 დიაგრამა 12 საცხოვრებლის ტიპი



შენიშვნა: დიაგრამის პროცენტების ჯამური მაჩვენებელი აღემატება 100%-ს იმის გამო რომ ზოგიერთ სტუდენტს მობილობის განმავლობაში მოუწია სხვადასხვა ტიპის საცხოვრებელში ცხოვრება.

საცხოვრებლის ტიპის შეფასება კი შემდეგი სახისაა:


დიაგრამა 13 საცხოვრებლების შეფასება



მიღებული შედეგებიდან გამომდინარე სტუდენტური საცხოვრებელი დააფიქსირა 41-მა რესპოდენტმა და იქ არსებულ პირობებს საშუალოდ აფასებენ 3,8 ბალით, რაც შეიძლება ითქვას რომ საკმაოდ კარგი შეფასებაა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის საცხოვრებელი პირობები 1 ბალით შეაფასა 3-მა რესპოდენტმა.

A10. გთხოვთ, შეაფასოთ, იყო თუ არა საკმარისი თქვენი სტიპენდია საკვების, საცხოვრებლისა და სასწავლო ინვენტარისთვის?

დიაგრამა 14 სტიპენდიის საკმარისობა (1-სრულიად არასაკმარისი, 5-სრულიად საკმარისი)




სტიპენდიის საკმარისობის პრობლემა ძირითადად იქმნება დასავლეთ და ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებში. თუმცა, შედეგებიდან ნათლად ჩანს, რომ სტიპენდია მონაწილეთა უმრავლესობისთვის იყო სრულიად საკმარისი და არა მხოლოდ, მათ შეეძლოთ ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობაც. პასუხებიდან ირკვევა, რომ სტუდენტებს 15–16 ქვეყნის მონახულების საშუალებაც კი ჰქონდათ.




A11. დროულად იღებდით თუ არა სტიპენდიას?

დიაგრამა 15 დროულად იღებდნენ თუ არა სტიპენდიას



მონაცემების მიხედვით აღმოჩნდა, რომ ყველაზე ხშირად აგვიანებდა BACKIS და EUROEAST პროგრამები.

დიაგრამა 16 სტიპენდიის ჩარიცხვის დროულობის მიმართება პროგრამასთან




A14. ვინ გეხმარებოდათ ადაპტაციის პროცესში პროგრამით გათვალისწინებულ ქვეყანაში ცხოვრების დროს და შეაფასეთ 5-ბალიანი ბალიანი სისტემით

კითხვაზე, ვინ გეხმარებოდათ ადაპტაციაში, რესპოდენტებს შეეძლოთ არჩევა შემდეგი პასუხებიდან: საგარეო დეპარტამენტი, ESN – ის ადგილობრივი სექცია, სხვა სტუდენტური ორგანიზაციები, კურსელები, იქ მცხოვრები ნათესავები და არავინ. გარდა ამისა, რესპოდენტები არ იყვნენ მხოლოდ ამ არჩევანით შეზღუდულები, მათ შეეძლოთ აერჩიათ კატეგორია – სხვა.



დიაგრამა 17 ვინ გეხმარებოდათ ადაპტაციაში




როგორც ზემოთ მოცემული ცხრილიდან ჩანს, ყველაზე მეტად ადაპტაციაში ქართველებს ეხმარებოდნენ იქ მცხოვრები სტუდენტები. ასევე მნიშვნელოვანია გამოიყოს ESN-ის ადგილობრივი სექციის დახმარება, რომლის საშუალო ბალი 3.65-ია.

A15. ადგილობრივი კოორდინატორი ყოველთვის:

რესპოდენტები მასპინძელი უნივერსიტეტის ადგილობრივი კოორდინატორების მუშაობას დადებითად აფასებენ. ამას ადასტურებს ისიც, რომ 58 რესპოდენტიდან დაახლოებით 85% აღნიშნავს, კოორდინატორები პრობლემებზე დროულად რეაგირებდნენ.

დიაგრამა 18 მასპინძელი უნივერსიტეტის კოორდინატორის სტუდენტების პრობლემებზე რეაგირება




ამ მონაცემებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 2013-2014 წლებში პროგრამებში მონაწილე უნივერსიტეტების ადგილობრივი კოორდინატორები ზრუნავდნენ სტუდენტებზე, რეაგირებდნენ პრობლემებზე. მიუხედავად ამისა, რამდენიმე აღნიშნავს არასწორი ინფორმაციის მიწოდების პრობლემას.


A17. თქვენი აზრით, რა არის ის უმნიშვნელოვანესი რამ, რაც მიიღეთ მობილობის პერიოდში?

საინტერესო აღმოჩნდა კითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ რა უმნიშვნელოვანესი სარგებელი მიიღეს სტუდენტებმა მობილობიდან. რესპონდენტებს 5-ბალიანი სისტემით უნდა შეეფასებინათ ჩამოთვლილი საკითხები. შედეგად შეეფასებინათ ყველა ან რამდენიმე. თუმცა ჩამონათვალის გარდა მათ შეეძლოთ დამატებით სხვა საკითხის ჩაწერაც. ჩამონათვალი კი ასეთი იყო: 1. ევროპული ენის ცოდნის გაუმჯობესება, 2. ევროპული განათლების სისტემის გაცნობა, 3. პროფესიული განათლების ამაღლება, 4. მოგზაურობა და ახალი კულტურის შეცნობა, 5. გართობა, 6. ახალი მეგობრების შექმნა, 7. ადგილობრივი ენის დაუფლება, 8. სხვა.

დიაგრამა 19 მობილობიდან მიღებული სარგებელი




დიაგრამა 20 რესპონდენტთა პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც არ მიიჩნევენ აღნიშნულ სარგებლებს მნიშვნელოვანად და არ აფასებენ



აღსანიშნავია, ასევე, რომ სტუდენტთა 30%-ზე მეტი გართობას და ადგილობრივი ენის დაუფლებას საერთოდ შეფასების გარეშე ტოვებს. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ სტუდენტები ყველაზე ნაკლებ სარგებელს სწორედ ამ საკითხებთან დაკავშირებით იღებენ. თუმცა, მეორე მხრივ, საკითხების შეუფასებლობა არ გვადლევს იმის დარწმუნებით თქმის საშუალებას, რომ სტუდენტებისთვის ეს თემები ყველაზე უმნიშვნელო სარგებელია.


დიაგრამა 21 სარგებელი - უცხო ენის ცოდნის დონის გაუმჯობესება



ცხრილის მიხედვით სტუდენტების ძალიან მცირე ნაწილი ტოვებს ენის ცოდნის გაუმჯობესებას შეუფასებელს, უმეტესობა კი 5 ბალით აფასებს. მისი საშუალო შეფასება კი 4.39-ია. ეს მონაცემი ცალსახად ადასტურებს პროგრამების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სარგებელს უცხო ენის ცოდნის გაუმჯობესების მხრივ, რაც Erasmus-ის და ახლა უკვე Erasmus +-ის მთავარი მიზანია.


ცალსახა მნიშვნელოვან სარგებლად შეგვიძლია ჩავთვალოთ მოგზაურობა და ახალი კულტურის შეცნობაც. მას რესპონდენტთა დაახლოებით 86% აფასებს, რომელთაგან უმრავლესობა-5 ბალით. საშუალო შეფასება კი 4.66-ია.

დიაგრამა 22 სარგებელი-მოგზაურობა და ახალი კულტურების შეცნობა




როგორც აღვნიშნეთ, გართობასა და ადგილობრივი ენის დაუფლებას ყველაზე ნაკლებად აფასებენ. გართობის საშუალო ბალი არის - 3.79, ხოლო ადგილობრივი ენის დაუფლებისა - 3.26. მიუხედავად იმისა, რომ მათი შეფასება, სხვა სარგებლებთან შედარებით დაბალია, ფაქტია, რომ სტუდენტები მაინც ახერხებენ ადგილობრივი ენის დაუფლებას, რაც ადგილობრივი კულტურის შეცნობისა და სოციალიზაციისთვის აუცილებელია.

დიაგრამა 23 სარგებელი - გართობა და ადგილობრივი ენის დაუფლება



გვინდა ასევე ყურადღება გავამახვილოთ, პროფესიული ცოდნის ამაღლებაზე. ამ გრაფას ავსებს რესპონდენტთა დაახლოებით 82%, სადაც უმრავლესობა მას 5 ბალით აფასებს, საშუალო ბალი კი - 4.2-ია. მონაცემებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ პროგრამები ასრულებენ თავიანთ მიზნებს. პროგრამა ეხმარება მათ ევროპული სტანდარტების პროფესიული განათლების მიღებასა და მომავალ კარიერულ წინსვლაში.


დიაგრამა 24 სარგებელი - პროფესიული ცოდნის დონის ამაღლება



აქვე შეგვიძლია გამოვყოთ, ის მნიშვნელოვანი ასპექტები, რომლებმაც ყველაზე მეტი ბალი მიიღეს. როგორც ვხედავთ, სტუდენტები უმაღლესი ბალით მოგზაურობასა და ახალი კულტურების შეცნობას აფასებენ. სტუდენტების უმეტესობა ბევრს მოგზაურობდა მობილობის პერიოდში. ამას ისიც ადასტურებს, რომ გამოკითხული სტუდენტების უმრავლესობამ მოახერხა მინიმუმ 4 ევროპული ქვეყნის მონახულება მობილობის პერიოდში. მხოლოდ 4-მა რესპონდენტმა ვერ შეძლო ვერც ერთ სხვა ქვეყანაში მოგზაურობა, ხოლო ერთმა მათგანმა მოახერხა 16 ქვეყნის მონახულება.

ეს კი მართლაც პროგრამის უმნიშვნელოვანესი სარგებელია. ამით ის ხელს უწყობს კულტურების არა მარტო შეცნობას, არამედ დაახლოებასაც, რადგან ახალი მეგობრების შეძენასაც საკმაოდ მაღალი საშუალო ბალი - 4.49 ერგო.

დიაგრამა 25 სარგებლის საშუალო შეფასება



## პოსტ მობილობის პერიოდი

კითხვარის ბოლო ნაწილი ეხებოდა პოსტ-მობილობის პერიოდს, რომელიც მხოლოდ იმ სტუდენტებმა შეავსეს, რომლებმაც დაასრულეს მობილობა.


A18. როგორ შეაფასებდით დაბრუნების შედეგ თქვენს უნივერსიტეტში ადმინისტრაციული საკითხების მოგვარების პროცესს?

მობილობის დასრულების შემდეგ მნიშვნელოვანია სტუდენტების დაბრუნების დროს მშობლიურ უნივერსიტეტში ადმინისტრაციული საკითხების მოგვარების პროცესი. ჩვენ ამ საკითხზე გავამახვილეთ ყურადღება.

რესპოდენტებს უნდა შეეფასებინათ შემდეგი პროცედურები 5 ბალიანი სისტემით (1 - ძალიან რთული, 5 - ძალიან მარტივი): სტატუსის აღდგენის, სტუდენტის ადმინისტრაციული რეგისტრაციის, სტუდენტის აკადემიური რეგისტრაციის, კრედიტების აღიარების პროცესი. თუ სტუდენტებს სხვა სახის პრობლემები შეექმნათ, აქვე იყო გამოყოფილი გრაფა – სხვა. კითხვა – სხვაზე მხოლოდ სამმა რესპოდენტმა გაგვცა პასუხი.

სტატუსის აღდგენასთან დაკავშირებით პასუხი გაგვცა 20 რესპოდენტმა, მათგან 30 % აფასებს 5 ქულით, ხოლო 15% 1-ით. სტუდენტის ადმინისტრაციული რეგისტრაციის პროცესის შესახებ პასუხი გაგვცა 19 რესპოდენტმა, მათი 31.6 % მას

აფასებს დადებითად, ანუ აფასებენ 5 ბალით, ხოლო 10.5 % - პირიქით. სტუდენტის აკადემიური რეგისტრაციის პროცესი – პასუხი 19 რესპონდენტმა გაგვცა, მათგან 31.6 % აფასებს უმაღლესი ქულით, ხოლო 15.8 %-ყველაზე დაბალით. კრედიტების აღიარება სირთულეებთანაა დაკავშირებული 29.4 % –თვის, ხოლო 17.6% –სთვის არა.



მონაცემებიდან გამომდინარე, გამოიკვეთა პრობლემები, რომლებიც ყველაზე მეტად ექმნებათ სტუდენტებს მობილობის პერიოდის ამოწურვის შემდეგ. მაგალითად, გართულებულია კრედიტების აღიარების პროცესი და სტუდენტის სტატუსის აღდგენა.





## რეკომენდაციები

პრობლემები შერჩევის ეტაპზე

ჩვენი ორგანიზაცია პროგრამების დისემინაციის ეტაპიდან უწყვეტად იყო ჩართული სტუდენტებისათვის ინფორმაციის მიწოდებისა და კონსულტაციის გაწევის პროცესში. გარდა იმისა, რომ ვიყავით EMINENCE ის ოფიციალური მხარდამჭერი, ასევე ვახდენდით ერასმუსის ყველა, 9-ვე პროგრამის მონაწილეთა საინფორმაციო მხარდაჭერას, ვატარებდით ტრენინგებს და ყოველდღიურად ინდივიდუალურად გვექონდა კონსულტაციები სტუდენტებთან. ამ დროის განმავლობაში საკმაოდ კარგად შევისწავლეთ ის ხარვეზები, რაც შერჩევისა და პრე-მობილობის პროცესში წარმოიშვა. ამასთან, იმ სტუდენტებთან, რომლებიც აღმოჩნდნენ პრობლემურ სიტუაციაში, საკითხის შესწავლის მიზნით ჩავატარეთ ინდივიდუალური ინტერვიუები.

### პრობლემა - დისემინაცია

ერასმუსის პროგრამების ნაწილის დისემინაცია მოხდა დაბალ დონეზე, ამაზე მეტყველებს სწორედ აპლიკანტების რაოდენობაც. ზოგადად, დანერგილი პრაქტიკით, დისემინაცია შემოიფარგლებოდა საგარეო ურთიერთობების დეპარტამენტის წამომადგენლების მიერ ერთი ან რამდენიმე საინფორმაციო პრეზენტაციით და უნივერსიტეტების ვებ-გვერდზე ინფორმაციის გავრცელებით.

საინფორმაციო პრეზენტაციები არ ფარავდა უნივერსიტეტების ყველა სასწავლო კორპუსს, რის გამოც სტუდენტები ვერ ახერხებდნენ ინფორმაციის თანაბრად მიღებას. ამასთან, უნივერსიტეტების ვებ-გვერდებზე ხშირ შემთხვევაში ერასმუსის პროგრამები ცალკე არაა გამოყოფილი, ხოლო წარმოდგენილი ინფორმაცია არაა კომპლექსური და ვერ უზრუნველყოფს ერასმუსის პროგრამის სწორ კომუნიკაციას.

**რეკომენდაცია** - პროგრამაში ჩართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს მოვუწოდებთ უფრო აქტიურად ჩართონ ასოცირებული პარტნიორები დისემინაციის პროცესში, გაზარდონ საინფორმაციო შეხვედრების რაოდენობა და მოახდინონ უფრო ეფექტური კომუნიკაცია ვებ-გვერდის საშუალებით.

პროგრამის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ვფიქრობთ ერასმუსის პროგრამა და ამჯერად უკვე ერასმუს + იმსახურებს თვალსაჩინო ადგილს ვებ-საიტების პირველ გვერდზე, რაც არამარტო პრაქტიკული ინფორმაციის დისემინაციას უწყობს ხელს, არამედ ახდენს ერასმუსის ფასეულობების პოპულარიზაციას. ამასთან დაკავშირებით, გთხოვთ საინფორმაციო ტექსტებში მოახდინოთ პროგრამის ფასეულობების, მისიისა და

მნიშვნელობის ხაზგასმა და სწორი კომუნიკაცია. ერასმუსი არაა მხოლოდ გაცვილითი პროგრამა, ესაა საშუალება რაც ევროპის ერთ დიდ ოჯახად გარდაქმნას უწყობს ხელს. ამასთან, მოგიწოდებთ უფრო აქტიურად გამოიყენოთ სოციალური მედია ინფორმაციის დისემინაციისათვის და არამარტო უნივერსიტეტებისა და პროექტების ოფიციალური გვერდები, არამედ სტუდენტების არაფორმალური ჯგუფებიც.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენი დაკვირვებით, პროექტების ფეისბუქის გვერდები დიდი ეფექტურობით გამოირჩევა ინფორმაციის ყოველდღიური „უწყვეტი და კომპლექსური კომუნიკაციის კუთხით.

### პრობლემა - ენის სერთიფიკატები

სტუდენტების უმეტესობას, განსაკუთრებით რეგიონების უნივერსიტეტებში, არ აქვს ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი, რაც მათ ერასმუსის პროგრამებში მონაწილეობის საშუალებას არ აძლევს. შედეგად ზოგიერთ იმარჯვებენ სტუდენტები , რომლებიც არ გამოირჩევიან აკადემიური მოსწრებით და შესაბამისად მობილობის პერიოდშიც ვერ ახერხებენ შესაბამისი შედეგების ჩვენებას. ეს კი ხდება იმის ხარჯზე, რომ მათ აქვთ სერთიფიკატი, ხოლო კონკურენცია დაბალია.

**რეკომენდაცია** - არსებობს გარკვეული სახის პრაქტიკა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც უნივერსიტეტი თავად ახდენს ენის ცოდნის დონის შეფასების ტესტირების ორგანიზებას და მიღებული ქულის საშუალებით, სხვა რაიმე დამატებითი სერთიფიკატის გარეშე სტუდენტებს საშუალება ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამაში. წამოწყების წარმატებაზე მეტყველებს იმ სტუდენტების რაოდენობა რომლებიც იღებენ მონაწილეობას ტესტირებაში, ხოლო აღნიშნული უნივერსიტეტი გამოირჩევა ერასმუსის პროექტებში სტუდენტების მონაწილეობის მიხედვით ერთ-ერთი ყველაზე მაღალი კინკურენციით.

ამასთან დამატებით მოგიწოდებთ, ჩაატაროთ საინფორმაციო კამპანიები ენის სერთიფიკირების აუცილებლობის და დადებითი მხარეების წარმოსაჩენად.

## **შერჩევის პროცესი**

### პრობლემა - შერჩევის ეტაპიდან ინტერვიუების



იმ შემთხვევაში თუ პროექტი არ მოითხოვს ენის სერთიფიკატს, დოკუმენტები, როგორებიცაა: მოტივაციის წერილი, ენის ცოდნის თვითშეფასების ფორმა და CV რიგ შემთხვევებში ვერ უზრუნველყოფენ აპლიკანტის ენის ცოდნის უნარების სწორ შეფასებას - მოტივაციის წერილი არ არის აპლიკანტის მიერ დაწერილი, ენის ცოდნის დონე გადაჭარბებითაა შეფასებული. როგორც უკვე მომდევნო, მობილობის ეტაპზე აღმოჩნდა სტუდენტთა ნაწილი ვერ აკმაყოფილებდა ენის ცოდნის მინიმალურ მოთხოვნებს, რაც აუცილებელი იყო განათლების მისაღებად და საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის.

პრობლემა არ ეხებოდა მხოლოდ ენის ცოდნის დონეს. ზოგიერთ შემთხვევებში სტუდენტები ფლობდნენ ენის ცოდნის შესაბამის უნარებს, თუმცა მათი პროგრამაში მონაწილეობის მოტივაცია იყო საკმაოდ გაურკვეველი. ამაზე მეტყველებს, სტუდენტების ნაწილის მიერ დაგროვილი კრედიტების რაოდენობა. ამასთან, სტუდენტების ნაწილმა ვერ მოახერხა ადგილობრივ საზოგადოებასთან და სხვა უცხოელ სტუდენტებთან სოციალიზაცია სხვადასხვა მიზეზის გამო. ეს მიზეზი მართალია ინდივიდუალური იყო, თუმცა უმეტეს შემთხვევაში ისინი ვერ აცნობიერებდნენ ერასმუსის პროგრამის მნიშვნელობას და ვერ მიიღეს მისი მთავარი სარგებელი, რასაც ევროპული კულტურის შეცნობას და საერთაშორისო გარემოში დამოუკიდებელი ცხოვრების გამოცდილებას ვეძახით.

**რეკომენდაცია-** მოვუწოდებთ უნივერსიტეტების საგარეო ურთიერთობების დეპარტამენტებს ჩაატარონ აპლიკანტებთან გასაუბრებები შერჩევის ბოლო ეტაპზე. რადგანაც მათ მოეთხოვებათ შეაფასონ თითოეული აპლიკანტი გარკვეული ქულით და აღნიშნული საბოლოო გადაწყვეტილებაზე შესაბამის გავლენას ახდენს, ვფიქრობთ, ინტერვიუს შედეგების ჩართვა ადგილობრივი კოორდინატორის შეფასების ქულაში აუცილებელია. ამასთან, აუცილებლად მიგვაჩნია ინტერვიუს ჩატარება მეორე და მესამე მიზნობრივი ჯგუფების აპლიკანტებთანაც.

## პრე-მობილობის პერიოდი

### პრობლემა - ინფორმაციის მიწოდება

სტუდენტებს უწევდათ და უწევთ გაურკვეველი პერიოდით ლოდინი უნივერსიტეტში რეგისტრაციის და აკდემიური კალენდრის შესახებ, ასევე ვიზისთვის აუცილებელი ინფორმაციის მისაღებად. აღნიშნული საკითხი იწვევს სტუდენტების დიდ წუხილს, დამატებით სტრესს, რაც შემდგომში გადადის ლოკალურ კოორდინატორებზეც. სტუდენტები მათ მიმართავენ კითხვებით, რაზე ხშირ შემთხვევაში კონკრეტული პასუხები არ არსებობს.



**რეკომენდაცია** - გამოსავლად მიგვაჩნია სხვადასხვა ინფორმაციისა და შესაბამისი დოკუმენტების მიწოდების კონკრეტული ვადების დაწესება და მათ შესახებ სტუდენტების წინასწარი ინფორმირება. (მაგალითად: საელჩოსთვის აუცილებელ დოკუმენტებს მიიღებთ 30 ივნისს.) ეს მოხსნის გაუგებრობით გამოწვეულ პრობლემას.

### პრობლემა - ვიზა

იმ შემთხვევაში როცა ქვეყნის საელჩო არ არის საქართველოში, სტუდენტებს უწევთ მეზობელ ქვეყნებში გამგზავრება ვიზის ასაღებად, რაც იწვევს საკმაოდ მნიშვნელოვან დანახარჯებს. ამასთან, როგორც გამოკითხვიდან გაირკვა პროგრამების უმეტესობა არ ანაზღაურებს აღნიშნულ ხარჯს.

**რეკომენდაცია** - სტუდენტებზე გასაცემი მგზავრობის ხარჯი ერასმუსის რეგულაციით განისაზღვრება მანძილის საფუძველზე, რაც უმრავლეს შემთხვევაში გაცილებით აღემატება ბილეთის ფასს. შესაბამისად, აღნიშნული ფონდიდან ვიზის ასაღებად სხვა ქვეყანაში მგზავრობის ხარჯის ნაწილობრივი დაფინანსება მაინც, პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს.

### **მობილობის პერიოდი**

#### პრობლემა - საცხოვრებლით უზრუნველყოფა

გვექონდა შემთხვევები, როდესაც უნივერსიტეტმა ვერ შესთავაზა სტუდენტებს სტუდენტური საცხოვრებელი და არც დაეხმარა შესაბამისი საცხოვრებლის მოძიებაში. მაგალითად, პარიზის უნივერსიტეტში ჩასულ სტუდენტებს სამი კვირის განმავლობაში მოუწიათ სასტუმროში ცხოვრება, რაც დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. ზოგ შემთხვევაში ან კოორდინატორი აწვდიდა აგენტის საკონტაქტო მონაცემებს, ან სტუდენტები თავად ცდილობდნენ კონტაქტების დამყარებას ბინის დასაქირავებლად პრე-მობილობის პერიოდში.

უმეტეს შემთხვევაში ამის შედეგად სტუდენტებს უწევდათ საბაზრო ფასზე გაცილებით მაღალი ფასის გადახდა, წინასწარ გადასახდელი რამდენიმე თვის ქირა და საკომისიო, რაც საერთო ჯამში ზოგჯერ ათას ევროსაც აღწევდა. წინასწარი გადასახადის გადახდა საჭირო ხდებოდა უნივერსიტეტის საცხოვრებელშიც, რაც საკმაოდ სერიოზულ ფინანსურ პრობლემებს უქმნიდა სტუდენტებს.

**რეკომენდაცია** - მოუწოდებთ უნივერსიტეტებს მეტი გულისყურით მოეკიდონ სტუდენტთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის საკითხს. იმ შემთხვევაში, როდესაც უნივერსიტეტი თავად სთავაზობს საცხოვრებელს საკმაოდ ადვილად შეიძლება წინასწარი გადასახდელების გაუქმება. აღნიშნული პრაქტიკა მოქმედებს Alexandru Ioan Cuza University of Iasi, IANUS-ის



პროექტი. სტუდენტი საცხოვრებლის ფულს იხდის პირველი სტიპენდიის ჩარიცხვის შემდეგ.

### პრობლემა - დამატებითი გადასახდელები

იყო შემთხვევები, როდესაც უნივერსიტეტმა სტუდენტებს მოსთხოვა დაეფარათ უნივერსიტეტის მოსაკრებელი, რაც პარიზის უნივერსიტეტში შემთხვევაში 200 ევროს შეადგენდა ბაკალავრებისთვის, ხოლო სწავლების უფრო მაღალ საფეხურზე გადასახდელი იზრდებოდა. როგორც სტუდენტები აცხადებენ, ისინი აღნიშნულის შესახებ არ იყვნენ წინასწარ ინფორმირებული და უნივერსიტეტი უარს ამბობდა სასწავლო პროცესში მათ ჩართვაზე თანხის დაფარვამდე. ამან განსაკუთრებული პრობლემა შექმნა, რადგან არ იყო ჩარიცხული პირველი სტიპენდია და სტუდენტებს არ ჰქონდათ შესაბამისი თანხა. აღნიშნული უნივერსიტეტი ასევე მოითხოვდა ახალი დაზღვევის გაკეთებას და აცხადებდა, რომ ერასმუსის კონსორციუმის მიერ შეთავაზებული დაზღვევა არ იყო საკმარისი, თუმცა ეს პრობლემა მოგვიანებით მოგვარდა. რაც შეეხება სასწავლო ბარათის თანხას, ის პროექტის მიერ არ იქნა ანაზღაურებული.

**რეკომენდაცია** - ერასმუსის პროექტების მონაწილე უნივერსიტეტებმა პატივი სცენ კონსორციუმის და პროგრამის რეგულაციებს. ამასთან, შემუშავდეს მსგავსი პრობლემების შემთხვევაში უნივერსიტეტების წინააღმდეგ სანქციების დაკისრების პროცედურები.

### **პოსტ მობილობა**

კრედიტების აღიარება - მთავარ პრობლემად რჩება კრედიტების აღიარების საკითხი. როგორც კვლევის მიმდინარეობისას გაირკვა, სტუდენტები თითქმის ყველა შემთხვევაში დადგნენ ამ პრობლემის წინაშე. არის შემთხვევები როდესაც არ მოხდა არცერთი კრედიტის აღიარება და სტუდენტებს მოუხდათ დამატებითი სემესტრის გავლა. გამოკითხულ სტუდენტთა იმ ნაწილის 25%-ს რომელთაც უკვე დაასრულეს მობილობა აცხადებს, რომ უწევთ დამატებითი სემესტრის გავლა. კრედიტების აღიარების პრობლემა ჩნდება მაშინ როდესაც შეუსაბამობა გვაქვს კურსების დასახელებებთან, მიუხედავად იმისა რომ ზოგ შემთხვევაში სილაბუსების თავსებადობის პრობლემა შეიძლება არც კი იდგეს. პრობლემა ხშირ შემთხვევაში ჩნდება, როდესაც გვაქვს შეუსაბამობა უნივერსიტეტების კრედიტების სისტემებს შორის. მაგალითად, როდეს ევროპის უნივერსიტეტების ნაწილის სასწავლო გეგმა მოიცავს 3,5,7,8 კრედიტიან საგნებს, ქართულ უნივერსიტეტების ნაწილში გვაქვს მხოლოდ 5 პროცენტთან შეფასება. შესაბამისად, ხარისხის მართვის სამსახური უარს აცხადებს საკუთარ სისტემისაგან განსხვავებული კრედიტის აღიარებაზე.

**რეკომენდაცია** - მოვუწოდებთ უნივერსიტეტების საგარეო ურთიერთობების დეპარტამენტებს გააუმჯობესონ ერასმუსის პროგრამებთან დაკავშირებული ინფორმაციის



კომუნიკაცია უნივერსიტეტების სხვადასხვა დეპარტამენტებს შორის, განსაკუთრებით ხარისხის მართვის დეპარტამენტებთან. ამ უკანასკნელის შემთხვევაში, თანამშრომლებს ხშირად არ გააჩნიათ ერასმუსის შესახებ შესაბამისი ინფორმაცია. ამის მიზეზად მიგვაჩნია ის რომ უნივერსიტეტს უმეტეს შემთხვევაში არ აქვს ერთიანი სტრატეგია გაცვლით პროგრამებთან დაკავშირებით, არ არსებობს კონსენსუსი და მოქმედების ერთიანი წესები დეპარტამენტებისთვის, რაც იწვევს კრედიტების აღიარებისა და ზოგადად, ბიუროკრატიულ პრობლემებს.